„ოტელოს შეცდომა“

(შვედეთის სამეფო აკადემიის ნეიტრალური გამომეტყველების სახეების სტანდარტის (KDEF) გამოცდა ქართველ პოპულაციაზე)

ვალერი ოთხოზორია

სამაგისტრონაშრომიწარდგენილიაილიასსახელმწიფოუნივერსიტეტის
მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტზე
კლინიკური ფსიქოლოგიისმაგისტრის
აკადემიური ხარისხისმინიჭებისმოთხოვნებისშესაბამისად

კლინიკური ფსიქოლოგია

ხელმძღვანელი - მალხაზ მაყაშვილი
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
თბილისი, 2014 წელი

აბსტრაქტი

ჩვენ გამოვკითხეთ 400-ზე მეტი ცდისპირი ე.წ. სახის გამომეტყველების (ემოციის) შეფასებაზე. ჩვენ გვაინტერესებდა, აფასებს თუ არა ქართველი პოპულაცია შვედეთის აკადემიის მიერ შემუშავებულ ნეიტრალური (ემოციის არ გამომხატველი) გამომეტყველების სახის სტანდარტს (KDEF)[1] ისევე, როგორც ევროპელი ცდის პირები – ემოციურად არაფრის გამომხატველად. აღნიშნული საკითხით ჩვენი დაინტერესების მიზანი იყო, გაგვერკვია - შეიძლება თუ არა გამოვიყენოთ ნეიტრალური ემოციების გამომხატველი ევროპული სახეების სტანდარტი ქართველი პოპულაციაში. ცდისპირებს ვაწვდიდით 9 შვედური სტანდარტის ნეიტრალური სახის ფოტოს, და ვთხოვდით, შეეფასებინათ ისინი 7 ემოციის მიხედვით: სიხარული, წყენა, არ გამოხატავს ემოციას, გაბრაზება, ზიზღი, შიში, გაკვირვება. ჩვენ მივიღეთ სტატისტიკურად მყარი შედეგები იმის შესახებ, რომ ევროპული სტანდარტის ნეიტრალური სახეები ქართველ პოპულაციაში აღიქმება, როგორც ემოციის გამომხატველი (არა ნეიტრალური). აქედან გამომდინარე, ჩვენ ვასკვნით, რომ 1. ევროპული სტანდარტის პირდაპირ გამოყენება ქართველ პოპულაციაში არ არის რეკომენდირებული და 2. შესაძლოა, საქმე გვქონდეს სახის გამომეტყველების შეფასების პოპულაციურ-კულტურულ თავისებურებებთან.

[1] http://www.emotionlab.se/resources/kdef; http://www.emotionlab.se/resources/akdef; ამ სტანდარტის გამოყენება იხ. http://oro.open.ac.uk/35800/1/Sucksmith%20et%20al_merged.pdf; http://www.unipr.it/arpa/mirror/pubs/pdffiles/Gallese/2010/plosone_5_10_13126_2010.pdf. განსაკუთრებით შეად. http://pics.psych.stir.ac.uk/Other_face_databases.htm. ასევე, საინტერესო მასალები შეგიძლიათ იპოვოთ: http://www.psych.ufl.edu/~ebner/documents/ebnerriedigerlindenberger_brm_2010.pdf; http://ccpweb.wustl.edu/pdfs/chung2011.pdf; http://psychfiledrawer.org/files/5031399408194The%20Effects%20of%20Facial%20and%20Body%20Expressions%20on%20Approachability.pdf. Lundqvist, D., Flykt, A., & Öhman, A. (1998). The Karolinska Directed Emotional Faces - KDEF, CD ROM from Department of Clinical Neuroscience, Psychology section, Karolinska Institute, ISBN 91-630-7164-9.